დანართი N2

# საქართველოს პრეზიდენტის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

N 31 2004 წლის 25 იანვარი ქ.თბილისი

## საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა და ზუსტი გამოსახულების დადგენის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ეს ბრძანებულება ადგენს საქართველოს სახელმწიფო დროშის ზუსტ გამოსახულებასა და სტანდარტულ ზომებს.

2. „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის ბოლნურ-კაცხური ჯვარი.

3. საქართველოს სახელმწიფო დროშის ზუსტი გამოსახულება და სტანდარტული ზომები განისაზღვროს ამ ბრძანებულების N1 და N2 დანართების შესაბამისად.

4. აკრძალულია დროშის ფერების ცვლილება.

*მიხეილ სააკაშვილი*

დანართი 1 საქართველოს სახელმწიფო დროშა



წინა პირი ფერი : #FF0000

## საქართველოს სახელმწიფო დროშა

მ.1:50



უკანა პირი

ფერი: #FF0000

დანართი 2

## საქართველოს სახელმწიფო დროშა

მ. 1:50




ფერი: #FF0000